



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



2340/3-77/22 2 16032022

2340/3-77/22

16-03-2022

საქართველოს ეროვნულ ბანკს

მოგესალმებით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ, მომწოდოთ ინფორმაცია:

საქართველოს ეროვნული ბანკის, საზედამხედველო სტრატეგიის 2020-2022 წლის დოკუმენტში წერია, რომ ბანკის სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის გაღრმავება.

გთხოვთ მოგვაწოდოთ, ზემოთხსენებულ პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, პარლამენტთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შესრულებული ნაბიჯების ჩამონათვალი და მათი აღწერა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე რაქვიაშვილი



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-22/881

881-22-2-202203291246

29/03/2022



საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ალექსანდრე რაქვიაშვილს

თქვენი 2022 წლის 16 მარტის
N2340/3-77/22 წერილის პასუხად

ბატონო ალექსანდრე,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში: ეროვნული ბანკი) 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრული ამოცანის შესაბამისად, რომელიც ქვეყნის შიგნით ინსტიტუტებთან, მათ შორის, პარლამენტთან თანამშრომლობის გაღრმავებას გულისხმობს, ეროვნული ბანკის ინიციატივით არაერთი აქტივობა განხორციელდა და დაიგეგმა, რომლებიც პარლამენტთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და კიდევ უფრო აქტიური დისკუსიის პლატფორმის შექმნას ისახავს მიზნად. აღნიშნული, მათ შორის, გულისხმობს დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ საქართველოს პარლამენტისათვის ინფორმაციის მიწოდების პროცესების გააქტიურებას, პერიოდული სამუშაო შეხვედრების ინიცირებას სხვადასხვა მიმდინარე და აქტუალურ თემაზე, პარლამენტისა და მის წარმომადგენელთა მხრიდან მიღებული შეკითხვებისა და ინიციატივების განხილვასა და შესაბამის რეაგირებას.

პირველ რიგში, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების ფარგლებში, ეროვნული ბანკის მიერ ყოველწლიურად მუშავდება და საქართველოს პარლამენტს წარედგინება წლიური ანგარიში, რომელიც ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას მოიცავს. დოკუმენტი პლენარულ სხდომაზე გასვლამდე მუშავდება და დეტალურ განხილვას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში გადის.

გარდა ანგარიშვალდებულების ფარგლებში ანგარიშების წარდგენისა, ეროვნული ბანკის საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობა მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- პარლამენტის წარმომადგენლებთან სხვადასხვა საკითხთან, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით, შეხვედრების გამართვა;
- პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტებზე ეროვნული ბანკის მიერ შენიშვნების წარდგენა და განხილვა;
- პარლამენტართა და პარლამენტის წარმომადგენელთა მხრიდან მიღებულ შეკითხვებსა და ინიციატივებზე საპასუხო მოსაზრებების მომზადება და მიწოდება, შემდგომი რეაგირება და შესაბამისი კომუნიკაცია.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული საზედამხედველო სტრატეგიის ფარგლებში ამ მიმართულებებით პარლამენტთან თანამშრომლობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა და გააქტიურდა. კერძოდ, აღსანიშნავია სტრატეგიით განსაზღვრულ პერიოდში განხორციელებული და დაგეგმილი შემდგომი აქტივობები და ღონისძიებები:

ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო ინიციატივებზე გამართული და დაგეგმილი განხილვები პარლამენტის წარმომადგენლებთან

ეროვნული ბანკის მიერ, სტრატეგიით გათვალისწინებულ პერიოდში, შემუშავდა არაერთი კანონპროექტი, რომლებთან დაკავშირებით ეროვნული ბანკი, როგორც წესი, შესაბამის გაცნობით წარდგენებსა და განხილვებს მართავს პარლამენტარებთან და პარლამენტის წარმომადგენლებთან, მათ შორის, აღსანიშნავია, რომ:

- 2021 წლის ნოემბერში, ეროვნული ბანკის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისათვის გაიმართა პრეზენტაცია ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული და საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო გეგმით გათვალისწინებული საკანონმდებლო ინიციატივების თაობაზე, რაც ვფიქრობთ, რომ აღსანიშნავი ინიციატივაა პარლამენტთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და უფრო აქტიური სადისკუსიო პლატფორმის შექმნის კუთხით. შეხვედრის ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა დეპუტატებს გააცნო საკუთარი ხედვა რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებების საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით, მათ შორის:
 - საგადახდო მომსახურება და ფინანსური ტექნოლოგიები - ღია ბანკინგი, ციფრული ბანკის ლიცენზირება, ციფრული ლარი;
 - მიკრობანკების რეგულირება;
 - მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გადახდისუნარიობა, სხვა არასაბანკო დაწესებულებების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა;
 - ევროკავშირის სამართალთან დაახლოება კომერციული ბანკებისა და ფინანსური კონგლომერატების ჭრილში;
- როგორც მოგეხსენებათ, ამჟამად საქართველოს პარლამენტში საკომიტეტო მოსმენებს გადის ეროვნული ბანკის ავტორობით შემუშავებული „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და თანმდევი ცვლილებები. ეროვნული ბანკის თანამშრომლებმა კანონპროექტით გათვალისწინებული სიახლეების თაობაზე პრეზენტაცია გამართეს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის

წარმომადგენლებისათვის. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყო აღნიშნული კომიტეტის აპარატის თანამშრომლების ჩართულობა კანონპროექტის შემუშავების პროცესში. საკანონმდებლო პაკეტის ინიცირების შემდგომ, კომიტეტებზე დასმული შეკითხვებისა და შენიშვნების სიღრმისეულად განხილვის მიზნით, ეროვნული ბანკის წარმომადგენელთა ჩართულობით დამატებითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა;

- უახლოეს მომავალში, ასევე დაგეგმილია საქართველოს პარლამენტის დეპუტატებთან შეხვედრა, „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა და „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის“ შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით;

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს, COVID-19 პანდემიის გათვალისწინებით, ეროვნულს ბანკს ახალი საზედამხედველო მოთხოვნების შემუშავებასა და დაწესებაზე დროებითი მორატორიუმი ჰქონდა გამოცხადებული, რათა რეგულირებას დაქვემდებარებულ სუბიექტებს რესურსების არსებულ გამოწვევებზე მაქსიმალური მობილიზების შესაძლებლობა ჰქონოდათ. შესაბამისად, რიგი მიმართულებით დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები 2021 წლისთვის იყო გადავადებული. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის პროცესი ამ კუთხით 2021 წლიდან გააქტიურდა და იმედი გვაქვს, მომავალში კიდევ უფრო მეტად გააქტიურდება.

საქართველოს პარლამენტის მიერ დაფიქსირებული ინიციატივები და განხილვები

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკისა და პარლამენტის თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმატი პარლამენტის მხრიდან მიღებული შეკითხვები/ინიციატივები და ეროვნული ბანკის მხრიდან ამ კუთხით შესაბამისი რეაგირება და ინიციატივებია. ამ ფორმატის კუთხით აღსანიშნავია შემდეგი აქტივობები:

- 2021 წლის 8 დეკემბერს ეროვნულ ბანკს წერილით მომართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების, მათ შორის, ბავშვის სასარგებლოდ გახსნილ ანაბარზე არსებული ფულადი თანხის განკარგვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების აღსრულების შესწავლის მიზნით. იმავე წლის 21 დეკემბრის N2-18/3811 წერილით ეროვნულმა ბანკმა აცნობა მის ხელთ არსებული ინფორმაცია კომიტეტს, ასევე, გაუზიარა საკითხის ირგვლივ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების სამუშაო ვერსია.
- დამატებით, მიმდინარე წლის 23 მარტის N2-14/808 წერილით, ეროვნულმა ბანკმა აცნობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს ზემოაღნიშნული პროექტის კომერციულ ბანკებთან განხილვის შედეგები, ასევე, გაუზიარა გადამუშავებული საკანონმდებლო ცვლილების პროექტი და აგრძელებს ამ თემაზე მასთან მჭიდრო თანამშრომლობას.

საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტების განხილვა და ეროვნული ბანკის მიერ მოსაზრებების წარდგენა

ეროვნული ბანკი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს საქართველოს პარლამენტიდან შემოსულ კანონპროექტებს, მათ შორის, ეროვნული ბანკის შენიშვნები და წინადადებები გაგზავნილ იქნა შემდეგ კანონპროექტებთან მიმართებით:

- „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლის განხილვებში ეროვნული ბანკი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული;
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- აღსრულების კოდექსის პროექტსა და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებზე;
- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტსა და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებზე;
- „ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტსა და გამომდინარე კანონპროექტებზე და სხვ.

სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებისა და ღონისძიებებისა:

- 2021 წლის აპრილში ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა საპენსიო სესხების პროცენტთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ფარგლებში გამართულ განხილვაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრის ფარგლებში ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დეპუტატთა მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა, მათ შორის ეროვნული ბანკისათვის კანონმდებლობით მინიჭებული საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში, საპენსიო სესხებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის გზებისა და შესაბამისი ღონისძიებების შესახებ;
- ეროვნულ ბანკს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს საქართველოს პარლამენტთან საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხებზე. გარდა იმისა, რომ პერიოდულად წარვადგენთ ინფორმაციას ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ, აქტიურად ვთანამშრომლობთ რიგი ინიციატივების დანერგვის მიმართულებით, მაგალითად, ევროს ერთიან საგადახდო სივრცეში (Single Euro Payment Area - SEPA) გაწევრიანებასთან დაკავშირებით;
- ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს მოთხოვნისთანავე აწვდის ინფორმაციას კანონით დადგენილი გარდამავალი დებულებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.
- აღსანიშნავია ეროვნული ბანკის მენეჯმენტის/საბჭოს წევრების და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელთა პერიოდული სამუშაო შეხვედრები მიმდინარე და აქტუალურ თემებზე - მონეტარული, მაკროპრუდენციული და საზედამხედველო პოლიტიკის მიმართულებების შესახებ. შეხვედრების მიზანია, კომიტეტს ჰქონდეს სრული ინფორმაცია მიმდინარე ეკონომიკური ვითარების, ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილი ღონისძიებებისა და საფინანსო სექტორში არსებული მდგომარეობის შესახებ.
- საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილ საზოგადოებრივ ღონისძიებებში, როგორებიცაა:
 - მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები;

- ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები;
- ახალი საკოლექციო მონეტების გამოშვება და განახლებული ბანკნოტების პრეზენტაციები და სხვა მსგავსი აქტივობები.

ვიმედოვნებთ, სამომავლო საკანონმდებლო ინიციატივებთან და საქართველოს პარლამენტისათვის საინტერესო სხვა საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობა 2022 წლის განმავლობაშიც აქტიურად გაგრძელდება.

პატივისცემით,

კობა გვენეტაძე

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

